

საბითუმო საქონელბრუნვის ანალიზის მეთოდის აქტუალური საკითხები

DOI:10.36962/ECS106/3-5/2024-45

მერაბ ჯიქია

თსუ-ს ასოცირებული პროფესორი

ლია კოზმანაშვილი

თსუ-ს ასისტენტ პროფესორი

E-mail: lia.kozmanashvili@tsu.ge

რეზიუმე

საბითუმო ვაჭრობა (ინგლისურად wholesale trade) არის პროდუქციის დიდი მოცულობით ყიდვა-გაყიდვა. პროდუქციის დიდი მოცულობით შეძენა ძირითადად მწარმოებლებისაგან ხდება და შემდეგ ეს პროდუქცია საცალო ვაჭრობის მაღაზიებს მიეწოდება.

წარმოების სფეროდან საქონლის მოხმარების სფეროში დაყვანას საქონელბრუნვა ეწოდება. საქონელბრუნვა, თავის მხრივ, იყოფა საბითუმო და საცალო საქონელბრუნვად. როგორც წესი, წარმოებისა და მიმოქცევის პირობების გამო საქონელმა წარმოებიდან უშუალოდ მომხმარებელამდე დასაყვანად უნდა გაიაროს დამზადების, გასაღებისა და ვაჭრობის შუალედური რგოლები. შუალედურ რგოლებს შორის საქონლის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს საბითუმო საქონელბრუნვა ეწოდება.

საბითუმო საქონელბრუნვის შედეგად საქონელი ჯერ კიდევ არ გადადის პირადი მოხმარების სფეროში, იგი განაგრძობს ბრუნვას მიმოქცევის სფეროში, გადადის რა საცალო ვაჭრობის განკარგულებაში ან სანარმოო გადამამუშავებაში, რათა შემდეგ ისევ მონაწილეობა მიიღოს საქონელმიმოქცევაში.

ამგვარად, საქონლის საცალო სავაჭრო ქსელში დასაყვანად საჭიროა შუამავალი რგოლები, რომლებიც საბითუმო საქონელბრუნვას ახორციელებენ. ძირითადად ასეთებია დისტრიბუტორები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ საქონელბრუნვის ორგანიზაციაში უმოკლესი გზით საქონლის საცალო ქსელამდე დაყვანის, მათი ბრუნვადობის დაჩქარებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირების საქმეში. შესაძლოა, მწარმოებელი საქონელს თავად აწვდიდეს საცალო მაღაზიას და საბითუმო ვაჭრობით დაკავებული შუამავალი (დისტრიბუტორი) არ ჰყავდეს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საბითუმო და საცალო საქონელბრუნვის ანალიზის მეთოდის სრულყოფის საკითხების შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური თემაა, ვინაიდან ბიზნესის ეს ორი ფორმა (საბითუმო და საცალო ვაჭრობა) მარკეტინგული არხის მნიშვნელოვანი შუამავლებია და ამ ორი რგოლის არარსებობის შემთხვევაში მთელი ჯაჭვი ჩაიშლება.

საკვანძო სიტყვები: საბითუმო საქონელბრუნვა, საცალო საქონელბრუნვა, ფასების ინდექსი, მოცულობის ინდექსი, დინამიკური მწკრივი, ზრდის ტემპი, ტენდენცია, გაყიდვების პროგნოზი, ვარიაციის კოეფიციენტი, საშუალო კვადრატული გადახრა, თანაბარზომიერების კოეფიციენტი.

ძირითადი ტექსტი

საბითუმო საქონელბრუნვა ვაჭრობაში წარმოადგენს გაყიდული საქონლის ღირებულებას, რომელიც შეძენილია გარედან და გამიზნულია მათი შემდგომი გაყიდვისათვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, გარდა საქონლის მიყიდვისა მოსახლეობაზე, რომელიც მიეკუთვნება საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვას.

საბითუმო საქონელბრუნვა ნიშნავს მოძრაობის დაწყებას მწარმოებლიდან მომხმარებელამდე, მათი მეშვეობით საქონელი გადადის მიმოქცევის სფეროში, მყარდება კავშირი მწარმოებელსა და საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებს შორის.

საბითუმო საქონელბრუნვა მიეკუთვნება საბითუმო ორგანიზაციების მახასიათებელ უმთავრეს მაჩვენებელთა რიგს. ჩვეულებრივ, საბითუმო ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა საბითუმო საქონელბრუნვის მოცულობის ანალიზით იწყება. საბითუმო გაყიდვების მოცულობა ასევე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბითუმო ვაჭრობის მთელ რიგ ფინანსურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. საბითუმო ვაჭრობის ზრდას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს საქონლის წარმოების მოცულობის გადიდება, საბითუმო ორგანიზაციების, სასაწყობო ფართობების, საცალო საქონელ-ბრუნვის გაზრდა და ა.შ.

საბითუმო საქონელბრუნვის კუთხით ეკონომიკური ანალიზის ჩატარება გულისხმობს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- შესწავლილ იქნეს საქონელბრუნვის პროგნოზული მოცულობა მთლიანად წლის განმავლობაში და ცალკეული პერიოდების მიხედვით, აგრეთვე, საქონლის შემადგენლობისა და ასორტიმენტის მიხედვით, ღირებულებით და ნატურალურ გამოსახულებამდე;
- მომწოდებლებისაგან საქონლის მიღების შეფასება და მათი შესაბამისობა სახელშეკრულებო პირობებთან რაოდენობის, ასორტიმენტის, ხარისხისა და მოწოდების ვადების მიხედვით;
- მყიდველებისთვის საქონლის გაგზავნის დოკუმენტების შესწავლა და მათი შესაბამისობა სახელშეკრულებო პირობებთან საქონლის რაოდენობის, ასორტიმენტის, ხარისხისა და მიწოდების ვადების მიხედვით;
- იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომლებმაც გამოიწვია საბითუმო საქონელბრუნვის ცვალებადობა და მათი რაოდენობრივი განსაზღვრა;
- საბითუმო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის შიდასაწარმოო რეზერვების გამოვლენა და მათ საფუძველზე საქონელბრუნვის მოცულობის გადიდება.

საბითუმო საქონელბრუნვის ანალიზის ჩატარების ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშგების მაჩვენებლები; მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები (ორგანიზაციის საწყობში საქონლის მოძრაობის სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემები); შერჩევითი კვლევის მასალები და ა.შ.

საბითუმო საქონელბრუნვის ანალიზი ხორციელდება განსაზღვრული თანმიმდევრობით: კეთდება საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების ზოგადი შეფასება; განისაზღვრება საქონლის გაყიდვების დინამიკა; შეისწავლება საქონელბრუნვა რეალიზაციის მიმართულების, გაყიდვების ფორმებისა და სასაქონლო სტრუქტურის მიხედვით; დგინდება ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს საქონელბრუნვის მოცულობაზე და დგინდება მათი გადიდების რეზერვები.

საბითუმო საქონელბრუნვის ანალიზის ჩატარებისას, ცალკეული რეგიონებისა, თუ ქვეყნის მასშტაბით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალიზის ისეთი ხერხები, როგორიცაა: შედარება, დაჯგუფება, კორელაცია, დისპერსია, ჯაჭვური ჩასმის ხერხი, აბსოლუტური სხვაობის ხერხი და სხვა.

საბითუმო საქონელბრუნვის განვითარების საერთო კანონზომიერება თავის გამოხატულებას, უპირველეს ყოვლისა, საბითუმო ვაჭრობის ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში პოულობს. მათი საქონელბრუნვა, როგორც წესი, ხასიათდება ზრდის საერთო ტენდენციით, თუმცა, შეიძლება, მატების ტემპები არ დაემთხვეს.

საბითუმო საქონლის დინამიკა დროითი მწკრივით ხასიათდება, რომელიც განვლილი წლების მიხედვით არის აგებული, ამასთან, მასში გაითვალისწინება ფასთა ცვლილებებიც.

საბითუმო საქონელბრუნვის ინდექსი ფაქტობრივი ფასებით ან შესაბამისი წლების ფასებით

$$\left(I_{qp} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} \right)$$

ასახავს საანალიზო პერიოდში რეალიზებული საქონლის მოცულობისა და ფასების ცვლილებებს, ამიტომ დინამიკური მწკრივების აგებისას მნიშვნელოვანია საქონელბრუნვის გამოსახვა

ერთნაირი ფასებით (ჩვეულებრივ საბაზისო პერიოდის ფასებით), რისთვისაც აუცილებელია განგარიშებული იქნეს საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი:

$$I_q = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$$

საქონელბრუნვის ასეთი გაანგარიშება შესადარი ფასებით აგრეგატული სქემების მიხედვით შეიძლება ჩატარდეს მაშინ, თუ საქონელი აღირიცხება არა მხოლოდ თანხობრივად, არამედ რაოდენობრივად.

ინდექსური გაანგარიშების შედეგად შეიძლება განვსაზღვროთ საბითუმო საქონელბრუნვის არა მარტო შეფარდებითი ცვლილება (რაოდენობრივი და ფასების ფაქტორების გავლენით), არამედ განვსაზღვროთ მათი აბსოლუტური ცვლილებებიც.

საქონელბრუნვაზე ფასების ცვლილების გავლენა გაიანგარიშება, როგორც სხვაობა ფაქტობრივი მოცულობის საქონელბრუნვასა (ფაქტობრივი რაოდენობითა და მოქმედი ფასებით) და ამავე პერიოდის საქონელბრუნვას შორის შესადარის ფასებში ($\sum q_1 p_1 - \sum q_1 p_0$), ხოლო საქონელბრუნვაზე ფიზიკური მოცულობის გავლენა გაიანგარიშება, როგორც სხვაობა მიმდინარე და საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვას შორის შესადარის ფასებში ($\sum q_1 p_0 - \sum q_0 p_0$) მაშასადამე, გაანგარიშების სქემა იქნება შემდეგი სახის:

$$\sum q_1 p_1 - \sum q_0 p_0 = (\sum q_1 p_0 - \sum q_0 p_0) + (\sum q_1 p_1 - \sum q_1 p_0)$$

სადაც, ($\sum q_1 p_0 - \sum q_0 p_0$) არის რაოდენობრივი ცვლილების გავლენა,

($\sum q_1 p_1 - \sum q_1 p_0$) - ფასების ცვლილების გავლენა.

თუ რეალიზებული საქონლის რაოდენობრივი აღრიცხვა არ ხორციელდება, მაშინ ფასების ინდექსი განისაზღვრება საშუალო ჰარმონიული ინდექსის სქემის მიხედვით:

$$I_p = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{ip} q_1 p_1}$$

სადაც, $ip = \frac{p_1}{p_0}$

საბითუმო საქონელბრუნვის დინამიკური მწკრივების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ მისი განვითარების ძირითადი ტენდენცია და არსებული ზრდის ტემპების პირობებში, შეიძლება, განვსაზღვროთ საქონლის გაყიდვების მოცულობის პროგნოზული მაჩვენებელი.

საქონლის გაყიდვების პროგნოზული მოცულობის თანაბარზომიერების დასადგენად, უნდა გავიანგარიშოთ ვარიაციის კოეფიციენტი. ამისათვის განისაზღვრება საშუალო კვადრატული გადახრა შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum (x - \bar{x})^2 f}{\sum f}}$$

სადაც x - გაყიდვების პროგნოზის შესრულება კვარტალში, თვეში, დღეში.

$\bar{x}$ - საშუალო შესრულება პერიოდის განმავლობაში;

f - საქონელბრუნვის საპროგნოზო მაჩვენებელი პერიოდის განმავლობაში.

საქონელბრუნვის მოცულობა 2023 წლის მარტისთვის. ცხრ. N1

დეკადები	საქონელბრუნვა, ათასი ლარი		გეგმის შესრულების %
	პროგნოზი	ფაქტობრივად	
I დეკადა	1300	1287	99,0
II დეკადა	1500	1514	109,3
III დეკადა	1500	1489	99,2
სულ	4300	4290	99,7

თუ საანალიზო პერიოდის განმავლობაში, საქონელბრუნვის პროგნოზულ მაჩვენებელში არ არის არსებითი გადახრები, მაშინ შეიძლება გავიანგარიშოთ საშუალო-კვადრატული გადახრა შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum (x - \bar{x})^2}{n}}$$

სადაც, n არის კვარტლების, თვეების, დღეების და ა.შ.

საშუალო კვადრატული გადახრის გაანგარიშების შემდეგ განისაზღვრება ვარიაციის კოეფიციენტი:

$$v = \frac{\sigma * 100}{\bar{x}}$$

ვარიაციის კოეფიციენტი (v) გვიჩვენებს პროგნოზული საქონელბრუნვის მაჩვენებლის გადახრის ხარისხს (პროცენტებში). რაც უფრო დიდია გადახრა, მით უფრო მაღალია ვარიაციის კოეფიციენტი (იხ.ცხრ. N2).

საბითუმო საქონელბრუნვის კვარტალური პროგნოზის შესრულების გადახრების გაანგარიშება ცხრ. N2

დეკადები	2023 წ. მარტის თვე		
	გეგმის შესრულება, %	$(x - \bar{x})$	$(x - \bar{x})^2$
I დეკადა	109,2	1,1	1,21
II დეკადა	109,2	+1,1	1,21
III დეკადა	105,2	-2,9	8,41
სულ წლის განმავლობაში	108,1		12,27

$$\sigma = \sqrt{\frac{12,27}{n4}} = \sqrt{3,07} = 1,75$$

$$v = \frac{1,75 * 100}{108,1} = 1,62\%$$

ცალკეულ მყიდველებზე საქონლის მიწოდების ხელშეკრულებების ზოგადი შეფასება ხორციელდება მმართველობითი აღრიცხვისა და ოპერატიული ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე, რომელიც მიიღება შემდეგი ფორმის შესაბამისად (იხ.ცხრ N3).

საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებზე საქონლის მიწოდების ხელშეკრულებების
შესრულება 2023 წლის მარტის თვეში ცხრ. N3

საქონლის დასახელება	საზომი ერთეული	ხელშეკრულების მიხედვით მიწოდების გეგმა	ფაქტობრივად გაგზავნილი	მათ შორის				
				სავაჭრო ცენტრი N 1				და ა.შ.
				ხელშეკრულებით		ფაქტობრივად გაგზავნილია		
				რაოდენობა ცალობით	თანხა ათასი ლარი	რაოდენობა ცალობით	თანხა ათასი ლარი	

ასეთი მონაცემების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მოვახდინოთ საქონლის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეფასება ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის საფუძველზე მთლიანად საბითუმო ორგანიზაციის მასშტაბით, ასევე, ცალკეული მყიდველების მიხედვით, როგორც ღირებულებით, ისე ნატურალურ გამოსახულებაში, საქონლის ცალკეული ჯგუფისა და სახეობების მიხედვით.

მყიდველებზე საქონლის გაგზავნის ასეთი ანალიზი უნდა ხორციელდებოდეს ყოველთვიურად წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით, რაც მოგვცემს შესაძლებლობას თვალყურის დადევნოთ საქონლის მიწოდების თანაბარზომიერებას მთელი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

საბითუმო ორგანიზაციები, განკარგავენ რა ბუღალტრული აღრიცხვისა და ოპერატიული ანგარიშგების მონაცემებს, შესაძლებლობა ეძლევათ შეისწავლონ საქონლის გაყიდვების მოცულობა, კვარტალურ, თვიურ და დეკადურ ჭრილში. საბითუმო ორგანიზაციების მარკეტინგული განყოფილებები ახორციელებენ ოპერატიულ აღრიცხვას ცალკეული მყიდველების მიხედვით გაგზავნილ საქონელზე, რომელთა მონაცემებიც წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ანალიზისთვის. ამასთან, საქონლის გაგზავნის აღრიცხვა ხორციელდება მთლიან სასაქონლო ნომენკლატურაზე ანალიზური აღრიცხვის კუთხით.

საბითუმო საქონელბრუნვის რიტმულობის დამახასიათებელ მაჩვენებლად გამოიყენება გაგზავნის თანაბარზომიერების კოეფიციენტი. იგი იანგარიშება ნების-მიერი პერიოდისათვის (5, 10, 15 დღე) ყველა გაგზავნაზე, ცალკეული მყიდველისა და საქონლის მიხედვით. ამისთვის წინასწარ ანგარიშობენ საშუალო კვადრატულ გადახრას და ვარიაციის კოეფიციენტებს.

საშუალო კვადრატული გადახრა გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum_{i=1}^n (x_i - \bar{x})^2}{n}}$$

სადაც x_i - გაგზავნის პროცენტი i -იურ პერიოდში;

$\bar{x}$ - გაგზავნის საშუალო პროცენტი;

n - საანალიზო პერიოდების რიცხვი.

ვარიაციის და თანაბარზომიერების კოეფიციენტი გაიანგარიშება:

$$v = \frac{\sigma * 100}{\bar{x}} \quad k_{თანაბ.} = 100 - v$$

საბითუმო ორგანიზაციის მიერ 2023 წლის I კვარტალში მყიდველებისთვის გაგზავნილი საქონელი ცხრ. N4

მაჩვენებლები	1-15/I	16-31/I	1-15/II	16-28/II	1-15/III	16-31/III	სულ კვარტალში
მყიდველი A გაგზავნილია:							
ათას ლარებში	35	52.5	70	80	110	152,5	500
% კვარტალურ სიდიდესთან	7	10,5	14.0	16	22	30.5	100
გადახრა საშუალო პროცენტთან (16,7%)	-9,7	-6,2	-2,7	-0,7	+5,3	+13,8	-
გადახრის კვადრატი	-94,9	38,44	7,29	0,49	28,09	190,44	358,84
მყიდველი B გაგზავნილია:							
ათას ლარებში	46,2	62,7	72,6	90,75	113,85	163,9	550
% კვარტალურ სიდიდესთან	8,4	11,4	13,2	16,5	20,7	29,8	100
გადახრა საშუალო პროცენტთან (16,7%)	-8,3	-5,3	-3,5	-0,2	+4,0	+13,1	-
გადახრის კვადრატი	68,89	28,09	12,25	0,04	16,0	171,61	296,88
მყიდველი C გაგზავნილია:							
ათას ლარებში	40,8	46,08	77,28	88,32	104,64	122,88	480
% კვარტალურ სიდიდესთან	8,5	9,6	161,1	18,4	21,8	25,6	100
გადახრა საშუალო პროცენტთან (16,7%)	-8,2	-7,1	-0,6	+1,7	+5,1	+8,9	-
გადახრის კვადრატი	67,24	5,41	0,36	2,89	26,01	79,21	226,12

საშუალო კვადრატული გადახრა მყიდველების მიხედვით:

$$A - \sigma = \sqrt{\frac{358,84}{6}} = 7,73\%$$

$$B - \sigma = \sqrt{\frac{296,88}{6}} = 7,0\%$$

$$C - \sigma = \sqrt{\frac{226,12}{6}} = 6.14\%$$

ვარიაციის კოეფიციენტი მყიდველების მიხედვით შეადგენს:

$$A - v = \frac{7,73 * 100}{16,7} = 46,3\%$$

$$B - v = \frac{7,0 * 100}{16,7} = 41,9\%$$

$$C - v = \frac{6,14 * 100}{16,7} = 36,8\%$$

თანაბარზომიერების კოეფიციენტი მყიდველების მიხედვით იქნება:

$$A - 100 - 46,3 = 53,7\%$$

$$B - 100 - 41,9 = 58,1\%$$

$$C - 100 - 36,8 = 63,2\%$$

ჩატარებული გაანგარიშებები მეტყველებს საბითუმო ორგანიზაციის მიერ მყიდველებისთვის საქონლის გაგზავნის არათანაბარზომიერებაზე. ასე, მაგალითად; მყიდველი A-სთვის საბითუმო ორგანიზაციას ყოველ 15 დღეში უნდა გაეგზავნა 83,3 ათასი ლარის საქონელი, მყიდველი B-სთვის - 91, 7 ათასი ლარის, ხოლო მყიდველი C-სთვის - 80 ათასი ლარის საქონელი. ფაქტობრივად, საქონლის გაგზავნის მოცულობა A მყიდველთან მერყეობს 35-დან 52,5 ათას ლარამდე; B მყიდველთან 46,2-დან 163,9 ათას ლარამდე, ხოლო C მყიდველთან 40,8-დან 122,88 ათას ლარამდე. გაგზავნის არათანაბარზომიერებაზე მიანიშნებს ფაქტობრივი გაგზავნის პროცენტის გადახრა საშუალო პროცენტულ მაჩვენებელთან, რამაც გავლენა იქონია ვარიაციის კოეფიციენტის სიდიდეზე. სამი განხილული მყიდველიდან, საქონელი შედარებით თანაბარზომიერად მიეწოდებოდა C მყიდველს. ამასთან, ჩვენს მიერ გაანგარიშებული გაგზავნის თანაბარზომიერების კოეფიციენტები კორექტირებული უნდა იქნეს აქცეპტზე უარის თქმის თანხის სიდიდით.

მმართველობითი ანალიზის პროცესში, აუცილებელია ცალკეული მყიდველების მიხედვით შესწავლილ იქნეს საქონლის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება საქონლის სახეობების, მიწოდების ვადების, ანაზღაურების ფორმების, გაგზავნის წესების, წარმოდგენილი პრეტენზიების რაოდენობის მიხედვით (რაც შეეხება საქონლის მოცულობასა და ხარისხს) და ა.შ.

საქონლის გაგზავნის თანაბარზომიერება ბევრადაა დამოკიდებული უშუალოდ საცალო ქსელში დისტრიბუტორების მიერ შემოზიდვის ზუსტ ორგანიზაციაზე. საქონლის შემოზიდვა მოიცავს საბითუმო ბრუნვის იმ ნაწილს, რომელიც მაღაზიების მომარაგებასთანაა დაკავშირებული. იგი რეგლამენტირებულია გრაფიკით, რომელიც შეთანხმებულია სათანადო საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებთან და საწარმოებთან. გრაფიკით გათვალისწინებულია შემოზიდვის რაოდენობა, ერთი შემოზიდვის სიდიდე, შემოზიდვის სიხშირე და სხვა მაჩვენებლები. გრაფიკის დაცვა ანალიზდება ოპერატიული აღრიცხვის მასალის მიხედვით, რომელსაც ახორციელებენ დისტრიბუტორები.

რაც უფრო მაღალია მყიდველებისათვის გაგზავნილი და ანაზღაურებული საქონლის ხვედრითი წონა, მით უფრო რიტმულად ხორციელდება სავაჭრო ორგანიზაციაში მუშაობის პროცესი. საქონლის გაგზავნის თანაბარზომიერებაზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორები, კერძოდ, გაგზავნის ფორმები (ტრანზიტული ან სასაწყობო). მყიდველების ადგილმდებარეობა, მომწოდებლისგან საქონლის თავისდროული მიღება და ა.შ.

რეზიუმე

საბითუმო საქონლის ანალიზი ხორციელდება განსაზღვრული თანმიმდევრობით: კეთდება საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების ზოგადი შეფასება; განისაზღვრება საქონლის გაყიდვების დინამიკა; შეისწავლება საქონელბრუნვა რეალიზაციის მიმართულების, გაყიდვების ფორმებისა და სასაქონლო სტრუქტურის მიხედვით; დგინდება ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს საქონელბრუნვის მოცულობაზე და დგინდება მათი გადიდების რეზერვები.

საბითუმო საქონელბრუნვის ინდექსური გაანგარიშების შედეგად შეიძლება განესაზღვროთ საქონელბრუნვის არა მარტო შეფარდებითი ცვლილება (რაოდენობრივი და ფასების ფაქტორების გავლენით), არამედ განესაზღვროთ მათი აბსოლუტური ცვლილებებიც.

საქონლის გაყიდვების პროგნოზული მოცულობის თანაბარზომიერების დასადგენად უმჯობესია გამოვიყენოთ ვარიაციის კოეფიციენტი, ხოლო თუ საანალიზო პერიოდის განმავლობაში, საქონელბრუნვის პროგნოზულ მაჩვენებელში არ არის არსებითი გადახრები, მაშინ ვანგარიშობთ საშუალო კვადრატულ გადახრას.

საბითუმო საქონელბრუნვის რიტმულობის დასახასიათებლად გამოვიყენება გაგზავნის თანაბარზომიერების კოეფიციენტი, რისთვისაც წინასწარ გაიანგარიშებენ საშუალო კვადრატულ გადახრას და ვარიაციის კოეფიციენტებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ჯიქია - ეკონომიკური ანალიზი, თბილისი, 2018 წ.
2. ი. ჭილაძე - ფინანსური ანალიზი, თბილისი, 2018 წ.
3. Jikia M. (2023). Comments on the problems of methodology of calculation by regulatory cost in the ACCA management accounting.
4. ფ. კოტლერი, კ.ლ. კელერი - მარკეტინგის მენეჯმენტი (თარგმანი ქართულ ენაზე თსუ-ს გამომცემლობა 2015 წელი).
5. О.В. Ефремова, М. Н. Ермакова, И.В. , Керимова Экономический анализ, М., 2022.
6. С.В. Савицкая – Теория экономического анализа, М., 2023.
7. Jikia M.(2019), some Aspects of Improving the Methodology of Economic Analysis, Ecoforum Journal 8(1).

REFERENCES:

1. Jikia M. - Economic analysis, Tbilisi, 2018.
2. Chiladze I. - financial analysis, Tbilisi, 2018.
3. Jikia M. (2023). Comments on the problems of methodology of calculation by regulatory cost in management accounting.
4. F. Kotler, K.L. Keller - Marketing Management (translation into Georgian, TSU Publishing House, 2015).
5. O.V. Efremova, M.N. Ermakova, I.V. , Kerimova Economic analysis, M., 2022.
6. S.V. Savitskaya – Theory of economic analysis, M., 2023.
7. Jikia M. (2019), some aspects of Improving the Methodology of Economic Analysis, Ecoforum Journal 8(1).

CURRENT ISSUES OF METHODOLOGY OF WHOLESALE TURNOVER ANALYSIS

Merab Jikia

Associate Professor of Iv. Javakhishvi
Tbilisi state university

Lia Kozmanashvili

Assistant professor of Iv. Javakhishvi
Tbilisi state university

E-mail: lia.kozmanashvili@tsu.ge

RESUME

Wholesale trade is the buying and selling of products in large volume. Products are purchased in bulk from manufacturers and then delivered to retail stores. The transfer of goods from the sphere of production to the sphere of consumption is called commodity circulation. Merchandise turnover, in turn, is divided into wholesale and retail turnover. As a rule, due to the conditions of production and circulation, goods must go through the intermediate links of production, turnkey and trade in order to be brought directly from the production to the consumer. The operations of buying and selling goods between intermediate links are called wholesale turnover.

As a result of wholesale turnover, the goods do not yet pass into the sphere of personal consumption, they continue to circulate in the sphere of circulation, are transferred to the disposal of some retail trade or industrial processing, and then again participate in the circulation of goods.

Thus, in order to bring goods into the retail trade network, intermediary links are needed, which carry out wholesale goods turnover. These are mainly distributors, who play a major role in the organization of goods circulation in the shortest way to bring goods to the retail network, speed up their turnover and reduce circulation costs. It is possible that the manufacturer supplies the goods to the retail store himself and does not have an intermediary (distributor) engaged in wholesale trade.

In the conditions of the market economy, the study of the issues of perfecting the wholesale and retail turnover analysis methodology is one of the topical topics, since these two forms of business (wholesale and retail trade) are important intermediaries of the marketing channel, and in the absence of these two links, the entire chain will fail.

Keywords: wholesale turnover, retail turnover, price index, volume index, dynamic line, growth rate, trend, sales forecast, coefficient of variation, mean square deviation, coefficient of homogeneity.